

სულთმოფენობიდან მე-3-ე კვირისადმი მიძღვნილი  
სიტყვა ღირსი იერონიმე სტრიდონელის ხსენების დღე  
(ხსენების დღე 15 ივნისი)

28 ივნისი 2020წ.

15 ივნისს ეკლესია აღნიშნავს წმ. იერონიმეს დღეს, იხსენებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიების ერთობას, არსებულს დიდ სქიზმამდე 1054 წლამდე - ეკლესიების - რომის - კათოლიკურს დასავლეთში და მართლმადიდებლურს აღმოსავლეთში - გაყოფამდე.

ღირსი იერონიმე დაიბადა 347 წელს ქ. სტრიდონში, რომის პროვინცია დალმაციაში (რომელიც აერთიენებს აგრეთვე თანამედროვე ქ. გრანოვო - პოლეს, სლოვენია). მისი მშობლები მდიდარი ქრისტიანები იყვნენ, რომლებმაც თავიანთი შვილი საუკეთესო მასწავლებლის მეტაღწურეობის ქვეშ სასწავლებლად რომში გაამგზავრეს. მან შეისწავლ ლათინური და ბერძნული ლტერატურა, აგრეთვე ფილოსოფია და რიტორიკა. ამის შემდეგ წმინდანმა შეისწავლ ღვთისმეტყველება ტრიში (კელტის ქალქი ტრებორუმი, რომელიც მდებარეობს საფრანგეთის საზღვარზე გერმანიასთან), აკვილიში (ძველი რომაული ქალქი ადრიატიკის ყურის ნაპირზე) და ანტიოქიაში (სირია).

კონსტანტინეპოლში ის სწავლობდა წმ. გრიგოლღვთისმეტყველთან (329 - 390) და ალექსანდრიაში დიდემე ბრმასთან (დაახლოებით 313 - 398). ეს ფასეული გამოცდილება იყო და რის შემდეგაც ღირსმა იერონიმემ შესანიშნავი განათლება მიიღო და თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას. რომის პაპის დამასი (366 - 384) დიდათაფასებდა იერონიმეს ცოდნას და 382 წელს მოიწვია რომში თავის პირად მდივნად და მრჩევლად მოუხედავად ასეთი ღირსეული წინადადებისა, წმ. იერონიმემ არჩია ჯერ თავისი სუკის შინაგან მოწოდებას მიჰყოლოდა და წმ. მიწაზე გაემგზავრა. დიდი ხნის ყოფნის შემდეგ ნიტროს უდაბნოში (ეგვიპტის ჩრდილო - დასავლეთით ალექსანდრიისა და კაიროს შორის), სადაც ის სულეერად მუშაობდა დიდ წმინდა ასკეტებს შორის, 386 წელს ის ბეთლემში ჩამოვიდა, რომელიც გახდა მისი მუდმივი სახლი. იმ დროისთვის მან იქ ორი მონასტერი დაარსა: მამათა (რომლის წინამძღვარიც იყო) და ქალთა. წმ. იერონიმე ორივეს სულეერი მამა იყო და თავისი მონაზვნურ მოვალეობებთან დამატებით მორჩილების სწავლებითიყო დაკავებული.

წმ. იერონიმემ თავის შემდეგ მდიდარი რელიგიურ - ფილოსოფიური ლტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. რომის პაპის დამასის დავალებით წმ იერონიმემ ბიბლია ლათინურად თარგმნა. მისი ძველი და ახალი აღთქმის თარგმანი ყველს საერთო მოხმარებაში შევიდა და გახდა მთელი დასავლეთის ეკლესიის კანონიკური ტექსტი. ეს - უდიდესი საგანძურია, რომელიც ღირსმა იერონიმემ ქრისტიანობის განვითარებაში შეიტანა.

ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და პირველი თავისებური შედეგი მის განმანათლებელ შემოქმედებაში - ესაა თხზულებების კრებული და 135 საეკლესიო მოღვაწის ბიოგრაფიებია, დაწყებული წმ. პეტრეს ხანიდან წმ. იერონიმეს თანამედროვეებამდე. წმ. კასიანე - რომაელმა (დახ. 360 - 435) ასე დაახასიათა მისი ქრისტიანული მემკვიდრეობის როლი: „მართლმადიდებლებისათვის

იერონიმე - ჭეშმარიტი მასწავლებელია, რომლის ნაშრომებიც ბრწყინავენ, ანათებენ და შუქს ასხივებენ, როგორც ღვთაური სანთლები, როგორც მზე, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ანათებს [ამიანე მერცააღნი (დახ. 330 - 391) ქრონიკა RES GESTAE.

წმ. იერონიმე გარდაიცვალა ბეთლემში 420 წლის 15 ივნისს. დასავლური ეკლესია პატივს მიაგებს მას უდიდეს მასწავლებლებს შორის, როგორებიც არიან ამბროსი, ავგუსტინე და პაპი გრიგოლ დიდი.

ადამიანის ხსნის თავის სწავლებაში წმ. იერონიმე ორ რამეს უსვამს ხაზს: პირველ რიგში ეს ნების თავისუფლება (autexousion). ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი დაინტერესებული და ჩართული უნდა იყოს ხსნისათვის ბრძოლაში. მეორე მხრივ, ეს უფლის წყალობაა, რომელიც უფლის ჯვარცმიდან გამომდინარეობს და ეკლესიის საიდუმლოებებს შეიცავს. ნათლობა, მირონცხება, წმინდა ზიარება, აღსარებები და სხვა ეკლესიის საიდუმლოებები - ეს საშუალებებია, რომლის დახმარებითაც ადამიანი შეიძლება გადარჩეს. აი რატომ უსვამს ხაზს იერონიმე, რომ „ეკლესიის გარეშე ხსნა არ არის“ (Extra ecclesia nulla salus. წერილი მე-15-ე, დამას 2, PL22:335).

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო! სამუდამო ჭეშმარიტებები, რომელსაც წმ. იერონიმე გვასწავლდა თავის ცხოვრებითა და საქმით დღევანდელ დღესაც მტკიცდება მართმადიდებლური ეკლესიით მოდით დღეს განვიხილოთ წმ. იერონიმეს სიტყვები: „ეკლესიის გარეთ ხსნა არაა“.

სამწუხაროდ დღეს არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ იღებენ, „იკვეთებიან“ ეკლესიისაგან. ისინი ამტკიცებენ, რომ რადგან მიიღეს წმინდა ნათლობა და ირწმუნეს ქრისტე, ამიტომ მათ ეკლესია არ სჭირდებათ ასეთი მიუღებლობა და ეკლესიის უარყოფა სინამდვილეში მათ უვიცობის და უმეცრობის მაჩვენებელია, მათ არ ესმით თუ ვინ არის ქრისტე და რა არის ეკლესია. ხოლო სინამდვილეში ქრისტე და ეკლესია - ერთი მთლიანობაა როგორც, არა ერთგზის ამბობდა პავლე მოციქული (ზოგიერთი მაგალითები ნახ. 1 კორ. 10:16, 12:12, 12:27; ეფ. 1:23-24): „ეკლესია - ეს ქრისტეს ხორცია“. თითოეული ქრისტიანი, რომელიც ეკლესიის წევრია, არის ქრისტეს სხეულის ნაწილი, ხოლო იყო ქრისტეს სხეულის ნაწილი ნიშნავს - იყო ეკლესიის ნაწილი. არ არის გაყოფა. წმ. ავგუსტინი ნათლად მიგვითითებს ამაზე, როდესაც აცხადებს, რომ ეკლესია - ეს იესო ქრისტეა; და რომ ქრისტე ჩვენთანაა საუკუნეების განმავლობაში.

საბოლოოდ ყველა, ვინც ეკლესიას ეკუთნის, ისინი ქრისტესთან არიან, ხოლო ისინი ვინც დაშორდა ეკლესიას, დაშორდა ქრისტეს. ნებისმიერი, რომელიც სხვანაირად ფიქრობს, თავს იტყუებს. გახსოვდეთ აგრეთვე, რომ ეკლესია - დედაა. როგორც დედა თავისი რძით კვებავს და აძლევს სიცოცხლეს თავის შვილებს, ასევე ეკლესია ზრდის თავის შვილებს ქრისტეს ძვირფასი სისხლთა და ხორციით უფაღმა თქვა: „უკუეთვ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლთ მისი, არა გაქუნდეს ცხორება თავთა შორის თქუენთა“ (ინ. 6:53). ისინი, ვინც უარს ამბობენ წმინდა ზიარებაზე, უარყოფენ სიცოცხლეს და სიკვდილს იღებენ.

ჩვენი სულიერი ჯანმრთელობისთვის მოდით ვისწავლოთ ეკლესიის ნაშრომები და თვითშეგნება ავიმალლოთ ეკლესიის წმინდა მამების სწავლებებით და არ დავემორჩილოთ ცრუ

თეორიებსა და იდეოლოგიებს. მოდით მთელ ჩვენი ცხოვრების  
მანძილზე ვინელმძღვანელოთ წმინდა მამების სიბრძნით  
ამინ.